განკარგულება:**g-87.87220201**
თარიღი:**20/01/2022**

განკარგულება N3

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის # 628 დადგენილების და ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ “ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1 მოწონებულ იქნეს .,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებისა და ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების ფარგლებში, 2021-2022 წლებში დანართის შესაბამისად კონკურსზე წარსადგენი პროექტი-- ,,**ახმეტის მუნიციპალიტეტში სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და თანმხლები ინფრასტრუქტურის მოწყობა“;**

2. ნება დაერთოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტები წარადგინოს კონკურსზე ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად;

3. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.;

4. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს

გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ინფორმაცია ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში 2022 წლისთვის დაგეგმილი საპროექტო წინადადებების შესახებ

N	მუნიციპალიტეტი	2022 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის კატეგორია	სულ პროექტის სავარაუდო ღირებულება	მათ შორის		შენიშვნა
					ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	სრიგპ-ის დაფინანსება	
1	ახმეტა	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში რაფიელ ერისთავის სახლ- მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და თანმხლები ინფრასტრუქტურის მოწყობა.	გზა	750,000.0	7,500.0	742,500.0	
		სულ ჯამი:		**750,000**	**7,500**	**742,500**	